საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ. ბათუმი 30 იანვარი 2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრები:

1. გიორგი დიასამიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის თავმჯდომარე

2. ხათუნა აფაქიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

3. ზურაბ კვირკვაია - იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, კომისიის წევრი;

4. ლია გაბაიძე - იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

5. ოთარ ცეცხლაძე - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კომისიის წევრი;

6. გიორგი ჯინჭარაძე - ბსუ-ს სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, კომისიის წევრი.

სხდომაზე არ გამოცხადდა საარჩევნო კომისიის კომისიის წევრი, ბსუ-ს სტუდენტი სალომე დუმბაძე

დღის წესრიგი:

2014 წლის 15 დეკემბერს ჩატარებული ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში ამომრჩეველ გიორგი ბოლქვაძისა (რეგისტრაციის №ბ-3163) და დეკანობის ერთ-ერთი კანდიდატის ქეთევან ბერიძის მიერ 2014 წლის 16 დეკემბერს შემოტანილი საჩივრების/განცხადებების (რეგისტრაციის №6309, №6318) განხილვისა და ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების (ბსუ-ს საარჩევნო

კომისიის 2017 წლის 26 იანვრისა და 27 იანვრის სხდომების) შედეგად გადაწყვეტილების მიღება.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად არის ცნობილი ბსუ-ს საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის N1 **გადაწყვეტილება, რომლითაც კომისიამ გააბათილა 2014 წლის 15 დეკემბერს ჩატარებული ფაკულტეტის დეკანის არჩევნები, მოცემულ ვითარებაში კომისიამ უნდა იმსჯელოს 2014 წლის 15 დეკემბრის არჩევნებთან დაკავშირებით წარმოდგენილ საჩივრებზე. აღნიშნული პერიოდისათვის კი** უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში შემოსულია: ამომრჩევლის-გიორგი ბოლქვაძის 2014 წლის 16 დეკემბრის №ბ-3163 განცხადება; დეკანობის კანდიდატის - ქეთევან ბერიძის 2014 წლის 16 დეკემბრის №6309 და №6318 საჩივრები, სულ 5 ფურცელზე (თან ერთვის); გიორგი ბოლქვაძის 2014 წლის 18 დეკემბრის №ბ-3181 და №ბ-3181 ახნა-განმარტებითი ბარათები, ქეთევან ბერიძის №6351 მოხსენებითი ბარათი და №6364 განცხადება, ირაკლი მანველიძის №6352 ახნა-განმარტებითი ბარათი, მოწმეების ირაკლი დავითაძის №დ-3184 და ანზორ შაინიძის №შ-3178 ახნა-განმარტებითი ბარათები - სულ 61 ფურცელი.

გიორგი ბოლქვაძე და ქეთევან ბერიძე ასაჩივრებდნენ ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის №1 ოქმის - დეკანის არჩევნების შედეგს, რომლითაც გამარჯვებულად გამოცხადდა ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი ირაკლი მანველიძე. საჩივრის საფუძვლებში მომჩივანები მიუთითებდნენ, რომ დეკანის არჩევნები ჩატარდა თანასწორობის, აზრის თავისუფალი გამოხატვის პრინციპების დარღვევით.

ქეთევან ბერიძის საჩივარში აღნიშნულია, რომ ის სადაოდ ხდის არჩევნებში მონაწილე სტუდენტების ლეგიტიმურობას იმ გარემოების გამო, რომ ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტები სპეციალობების მიხედვით არათანაბრად არის გადანაწილებული, კერძოდ, არცერთი სტუდენტი არ არის ფსიქოლოგიის სპეციალობის და თვლის, რომ აღნიშნულმა ფაქტმა არათანაბარ პირობებში ჩააყენა დეკანობის კანდიდატები.

გიორგი ბოლქვაძის საჩივრის მიხედვით ირაკლი მანველიძის მხრიდან მასზე მხარდაჭერის მიზნით განხორციელდა ზეწოლა, მუქარა, მოსყიდვა, მისთვის პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე. გიორგი ბოლქვაძე თავის საჩივარში ყურადღებას ამახვილებს ერთ-ერთ გარემოებაზე, რომლის თანახმადაც, ირაკლი მანველიძემ მას ფული ასესხა, ხოლო შემდეგ, როცა გ. ბოლქვაძე ი. მანველიძესთან მივიდა თანხის უკან

დაბრუნების მიზნით, ამ უკანასკნელმა უარით გაისტუმრა. გიორგი ბოლქვაძე თვლის, რომ ეს პირდაპირ უკავშირდებოდა არჩევნებს და კანდიდატი ამ ჟესტით ცდილობდა მის მოსყიდვას. აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილია მოწმის ირაკლი დავითაძის 2014 წლის 18 დეკემბრის №დ-3184 ახსნა- განმარტება.

გიორგი ბოლქვაძე განმარტავს, რომ ირაკლი მანველიძემ მას ხმის მიცემის სანაცვლოდ დაპირდა იმ სასწავლო კურსების ჩაბარებას, რომელიც არ ჰქონდა მიმდინარე სემესტრში დარეგისტრირებული. მისივე მტკიცებით, სწორედ ამ მიზნით შეიყვანა ი. მანველიძემ დაურეგისტრირებელი საგნის (საერთაშორისო ურთიერთობების) სპეციალობის რეიტინგულ წერაზე. ამასთანავე, ამომრჩევლის გიორგი ბოლქვაძის განცხადებით, დეკანობის კანდიდატ ირაკლი მანველიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარისა და ზეწოლის ფაქტებს სატელეფონო საშუალებით. აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილია გიორგი ბოლქვაძის 2014 წლის 18 დეკემბრის №ბ-3186 ახსნა-განმარტება და ამონაწერი შემომავალი/გამავალი სატელეფონო ზარების მობილური ოპერატორიდან).

ქეთევან ბერიძე 2014 წლის 18 დეკემბრის №6351 მოხსენებით ბარათში, ასევე, ერთ-ერთი მოწმე ანზორ შაინიძე 2014 წლის 18 დეკემბრის №შ-3178 ახსნა- განმარტებაში აღწერენ და მიუთითებენ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ გიორგი ბოლქვაძე შუალედურ (რეიტინგულ) გამოცდაზე ირაკლი მანველიძის დახმარებით გაყვანილი იქნა შესაბამისი საფუძვლის გარეშე, რაც მათი განმარტებით ქმნის საფუძველზე გიორგი ბოლქვაძის, როგორც ამომრჩევლის გადაბირებას.

ირაკლი მანველიძეს ზემოხსენებული საჩივრების საპირისპიროდ წარმოდგენილი აქვს 2014 წლის 18 დეკემბრის №6352 ახსნა-განმარტებითი ბარათი და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის 2017 წლის 27 იანვრის სხდომაზეც უარყო საჩივრის ავტორების პოზიცია, განმარტა, რომ საარჩევნო კამპანია ჩაატარა კეთილსინდისიერად, საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და საარჩევნო დებულების სრული დაცვით. ყველა ე.წ. ბრალდება, რომელიც გაცხადდა მის მიმართ იყო ხელოვნური, ითხოვს, რომ საარჩევნო კომისიამ ძალაში დატოვოს 2014 წლის 15 დეკემბრის №1 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოპოვებული მასალების ხელახალი შესწავლის, 2017 წლის 27 იანვარს გამართული ზეპირი მოსმენის, წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების, მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებების გათვალისწინებით, წარმოდგენილი მოსაზრებების და არგუმენტების ურთიერთშეჯერებისა და შეფასების შედეგად კომისიამ მიიჩნია, რომ ირაკლი

მანველიძის მხრიდან იკვეთება კანდიდატის სტატუსთან შეუფერებელი ქმედება, რაც გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების და ასეთის დაპირების განხორციელებაში, შესაბამისად, მოცემულ საკითხზე მიღებული უნდა იქნეს გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 30 ოქტომბრის N4 ოქმის საფუძველზე, დეკანის არჩევნები დაინიშნა 2014 წლის 12 დეკემბერს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ორმა კანდიდატმა, ირაკლი მანველიძემ და ქეთევან ბერიძემ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის არჩევნების პირველი ტური გაიმართა 2014 წლის 12 დეკემბერს. არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფდა ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 10 ნოემბრის N01-08/56 ბრძანებით შექმნილი საფაკულტეტო საარჩევნო კომისია. არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, რადგან ფაკულტეტის საბჭოში შემავალი 15 წევრიდან ირაკლი მანველიძემ მიიღო 4 ხმა, ქეთევან ბერიძემ 6 ხმა, 5 ბიულეტენი კი ბსუ-ს წესდების 50-ე მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი, რადგანაც არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენებზე ხელმომწერი კომისიის წევრების ხელმოწერა. **აღსანიშნავია, რომ არა ფორმალური მოთხოვნების დაუცველობა, არჩევნებში გამარჯვებული იქნებოდა ქეთევან ბერიძე 8 (რვა)ხმით.** მოლოდინი იმისა, რომ 12 დეკემბრის არჩევნების გაბათილების შემდეგ ჩატარებული არჩევნების შედეგად კვლავ გამარჯვებული იქნებოდა ქეთევან ბერიძე, ქმნის იმ ვარაუდის დადასტურებულად მიჩნევის საფუძველს, რომ ი. მანველიძეს ჰქონდა მიზეზი გიორგი ბოლქვაძის ,,გადაბირების", რაც დასტურდება კიდეც გ. ბოლქვაძის განცხადებით. იგი აცხადებდა და 2017 წლის 27 იანვრის სხდომაზეც არ უარყო, რომ ადგილი ჰქონდა მუქარისა და ზეწოლის ფაქტებს სატელეფონო საშუალებით.

,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანების შესაბამისად, 3 დღის ვადაში, <u>2014 წლის 15 დეკემბერს ჩატარდა დეკანის არჩევნების მე-2 ტური, რომელშიც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით 8 ხმით 7-ის წინააღმდეგ გაიმარჯვა ირაკლი მანველიძემ.</u>

ბსუ-ს საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის N1 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გიორგი ბოლქვაძის საჩივარი ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის №1 ოქმის - დეკანის არჩევნების (მე-2 ტური) შედეგების ბათილად ცნობის შესახებ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების მე-2 ტური დაინიშნა 2014 წლის 22 დეკემბერს, რომელშიც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით 8 ხმით 7-ის წინააღმდეგ გაიმარჯვა ისევ ქეთევან ბერიძემ. აღნიშნული ფაქტები (ფაქტიურად ჩატარებული 3 არჩევნების შედეგი), ქმნის გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ არჩევნების შედეგის ცვლილება დამოკიდებული იყო სწორედ გ. ბოლქვაძის არჩევანზე (პოზიციაზე).

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ბსუ-ს საარჩევნო კომისიამ 2014 წლის 19 დეკემბერს ბათილად ცნო 2014 წლის 15 დეკემბრის ოქმი ირაკლი მანველიძის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ, **დანიშნა დეკანის არჩევნების მე-2 ტური 2014 წლის 22 დეკემბერს, ამ უკანასკნელ ტურში კი გაიმარჯვა ისევ ქეთევან ბერიძემ. არჩევნების ეს შედეგი არ გასაჩივრებულა არც კანდიდატის და არც ამომრჩეველის მიერ,** შესაბამისად არც სასამართლო განხილვის საგანი გამხდარა. 22 დეკემბრის არჩევნების შედეგთან დაკავშირებით ბსუ-ს საარჩევნო კომისიის წევრის მიერ კითხვა დაესვა დეკანობის კანდიდატ ირაკლი მანველიძეს ბსუ-ს საარჩევნო კომისიის 2017 წლის 27 იანვრის სხდომაზე, თუ რატომ არ გაასაჩივრა აღნიშნული სასამართლოში. ირაკლი მანველიძემ ეს გარემოება იმით ახსნა, რომ სასამართლოში სარჩელი წარადგინა 2014 წლის 19 დეკემბერს, როდესაც კომისიის მიერ არჩევნების შედეგები ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული

ბსუ-ს წესდების 44-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად: ,,წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან <u>რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა</u>), ხელყოფს წესრიგს უნივერსიტეტში ან ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ქონებას.“

,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანების მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ,,წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში

სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს უნივერსიტეტში ან ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ქონებას, ამავე ბრძანების 27-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად: ,,არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ წესდებით დადგენილი წესის ან/და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.“

არჩევნების ჩატარების დებულების მე-16 მუხლის თანახმად, ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ტარდება უნივერსიტეტის წესდების მე-6 თავით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული რეგულაციით არჩევნების პროცედურა წარიმართება ფარული კენჭისყრით და დაცულია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელმა ამომრჩეველმა რომელ კანდიდატს დაუჭირა მხარი, მაგრამ არჩევნების პირველ და მეორე ტურში ამომრჩეველთა მიერ გამოვლენილი სხვადასხვა პოზიციის გათვალისწინებით გამოვლინდა, რომ ფაკულტეტის საბჭოს თავდაპირველი გადაწყვეტილება ქეთევან ბერიძის სასარგებლოდ იყო მიღებული. აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილია გიორგი ბოლქვაძის 2014 წლის 18 დეკემბრის №ბ-3186 ახსნა-განმარტება და ამონაწერი შემომავალი/გამავალი სატელეფონო ზარების მობილური ოპერატორიდან) 2014 წლის 11 და 12 დეკემბერს(არჩევნების პირველი ტურის დღე), ფიქსირდება ი. მანველიძის არაერთი შემავალი ზარი გ. ბოლქვაძის ტელეფონზე.

გიორგი ბოლქვაძე თავის საჩივარში ყურადღებას ამახვილებს ერთ-ერთ გარემოებაზე, რომლის თანახმადაც, ირაკლი მანველიძემ მას ფული ასესხა, ხოლო შემდეგ, ი. მანველიძესთან მივიდა თანხის უკან დაბრუნების მიზნით, ამ უკანასკნელმა უარით გაისტუმრა. გიორგი ბოლქვაძე თვლის, რომ ეს პირდაპირ უკავშირდებოდა არჩევნებს და კანდიდატი ამ ჟესტით ცდილობდა მის მოსყიდვას. აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილია მოწმის ირაკლი დავითაძის 2014 წლის 18 დეკემბრის №დ-3184 ახსნა-განმარტება. ფაქტის დადასტურების მიზნით გიორგი ბოლქვაძემ კომისიას მოწმის სახით წარმოუდგინა - ირაკლი დავითაძე(61001029255). მას განემარტა საქმის ვითარებისა და მისი უფლება-მოვალეობის შესახებ. ი. მანველიძემ არ უარყო გ. ბოლქვაძისათვის თანხის მიცემის ფაქტი, ასევე დაადასტურა, რომ აღიდგინა მოწმის, ირაკლი დავითაძის ხმა, განაცხადა რომ ვალი დაუბრუნდა 2014 წლის 12 დეკემბრამდე და გიორგი ბოლქვაძე

თავისუფალი იყო თავის ნების გამოხატვის პროცესში და ვერ იქნებოდა ვერანაირად ვალდებულებით დამოკიდებულებაში.

კომისია აღნიშნავს, რომ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არ დასტურდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ გიორგი ბოლქვაძისათვის ყოფილიყო რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება, რათა მის მიმართ განხორციელებული ზეწოლისა თუ მოსყიდვის მცდელობის შესახებ არჩევნებამდე ეცნობებინა ფაკულტეტის საბჭოსთვის ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ ამსუბუქებს ან აქარწყლებს ირაკლი მანველიძის მხრიდან განხორციელებულ ქმედებებს.

კომისიამ იმსჯელა ასევე იმ გარემოებაზეც, თუ რამდენად რეალურია დაპირება იმის თაობაზე, რომ სტუდენტის სხვადასხვა სასწავლო კურსების ჩაბარება მოხდეს უნივერსიტეტის სხვა ლექტორის მიერ, გამოცდებზე თავად ამ საგნის ლექტორის მონაწილეობის გარეშე, მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დაპირება იმ პირის მიერ რომელიც შესაძლოა გახდეს ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტის მხრიდან თავისუფლად შეიძლება იქნეს აღქმული რეალურ დაპირებად.

ბსუ-ს საარჩევნო კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი მე-4 ნაწილის მიხედვით მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი პასუხისმგებლობით, ის პირველ რიგში კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ისახავს მიზნად, რამდენადაც აუცილებელია მიზანშეწონილობის საფუძველზე საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის შემოწმება.

ირაკლი მანველიძის ქმედება ამომრჩეველ გ. ბოლქვაძისათვის, დანიშნული არჩევნების პერიოდში (არჩევნები გამოცხადდა ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №4 ოქმის საფუძველზე და დეკანის არჩევნების ჩატარებამდე პერიოდი მოიცავს 2014 წლის 12-15-22 დეკემბრამდე პერიოდს) ფულის სესხების თაობაზე და შემდეგ დაბრუნებაზე უარის თქმა, **მოცემულ შემთხვევაში შეფასებული უნდა იქნეს ამომრჩევლის მოსყიდვად,** რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან.

ბსუ-ს საარჩევნო კომისიამ „საქართველოს კონსტიტუციის" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო

ბიუროს 2017 წლის 20 იანვრის წინადადების (A17007429) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ, ბსუ-ს წესდების 26-ე მუხლის, 44-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 53-ე მუხლის მე-6 პუნქტის, ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანების მე-2 მუხლის, მე-16 მუხლის, მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის, 27-ე მუხლის მე-6 პუნქტის, გიორგი ბოლქვაძის 2014 წლის 16 დეკემბრის №ბ-3163 განცხადების, ქეთევან ბერიძის 2014 წლის 16 დეკემბრის №6309 და №6318 საჩივრების, გიორგი ბოლქვაძის 2014 წლის 18 დეკემბრის №ბ-3181 და №ბ-3181 ახნა-განმარტებითი ბარათების, ქეთევან ბერიძის №6351 მოხსენებითი ბარათისა და №6364 განცხადების, ირაკლი მანველიძის №6352 ახნა-განმარტებითი ბარათის, მოწმეების ირაკლი დავითაძის №დ-3184 და ანზორ შაინიძის №შ-3178 ახნა-განმარტებითი ბარათებისა და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის 2017 წლის 26-27 იანვრის N1-2 ოქმების, საფუძველზე, ღია კენჭისყრით 5 (ხუთი) მომხრე 1 (ერთი) წინააღმდეგი

დადგინდა:

1. ქეთევან ბერიძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, რადგანაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის ლეგიტიმურობის საკითხის განხილვა სცილდება საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას, მით უფრო, როცა ქეთევან ბერიძეს სადაოდ არ გაუხდია აღნიშნული, არც მაშინ, როცა ამავე ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ, რაც საფუძველი გახდა მისი და ირაკლი მანველიძის კანდიდატებად რეგისტრაციისა და არც მაშინ, როცა 2014 წლის 22 დეკემბრის არჩევნების შედეგად იგი გამოცხადდა გამარჯვებულად და არჩეული იქნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. ქეთევან ბერიძის საჩივარში მითითებული გარემოებები არ ეწინააღმდეგება ბსუ-ში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს, კერძოდ, ბსუ-ს წესდების მე-19 მუხლი განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებას: ,,ფაკულტეტის საბჭო შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისაგან და ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის ¼ -ზე ნაკლები'', რაც მოცემულ შემთხვევაში დაცულია.

2. დაკმაყოფილდეს გიორგი ბოლქვაძის საჩივარი და ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის №1 ოქმი ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე ირაკლი მანველიძის არჩევის შესახებ გამოცხადდეს ბათილად 2014 წლის 15 დეკემბრიდან.

3. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის (გაბათილებულია დეკანის თანამდებობაზე ირაკლი მანველიძის არჩევის აქტი მისი გამოცემის დღიდანვე) და იმ

ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ 2014 წლის 22 დეკემბერს ჩატარებული არჩევნების მე-2 ტურის საფუძველზე ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე არჩეულია ქეთევან ბერიძე, ამ არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით საჩივარი არც წერილობითი და არც ზეპირი ფორმით არცერთი კანდიდატის ან/და ამომრჩევლის მიერ არ წარმოდგენილა, არჩევნების შედეგები, როგორც აღმჭურველი სამართლებრივი აქტი სადაოდ არ გამხდარა სასამართლოში და არც მისი ბათილობის შესახებ არის მითითებული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, არჩევნების მე-2 ტურის ხელახალი ჩატარების წინაპირობა არ არსებობს და 2014 წლის 22 დეკემბერს ჩატარებული ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების მე-2 ტურის შედეგი დარჩეს ძალაში.

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (bsu.edu. ge) და ბსუ-ს საინფორმაციო დაფაზე.
5. გადაწყვეტილება ძალაშია გამოცემისთანავე.
6. ბსუ-ს საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი სტეფანე ზუბალაშვილის ქ.N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში.

მომხრე:

კომისიის თავმჯდომარე- გიორგი დიასამიძე

კომისიის მდივანი - ხათუნა აფაქიძე

წევრი - ოთარ ცეცხლაძე

წევრი - ლია გაბაიძე

წევრი - გიორგი ჯინჭარაძე

წინააღმდეგი:

წევრი - ზურაბ კვირკვაია

ბათუმის ავტონომიურ რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობა
საარჩევნო კომისია